ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №19

ქ. ზუგდიდი *2 თებერვალი, 2023 წელი.*

ერთის მხრივ, ***ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“ (ს/კ:420427078)*** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის დიმიტრი ფაცაციას სახით და მეორეს მხრივ, ***შ.პ.ს „სტილ საქართველო - სამეგრელო“(ს/კ:412697363)*** (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის კახაბერ სანოძეს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოებისათვის რკინის მასალების (CPV-14711000 - რკინა) შესყიდვა, დანართი №1-ს შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით) განისაზღვროს: 611 (ექვსას თერთმეტი) ლარის ოდენობით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი მისი ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამოდეს არსებულ სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებლის მიერ განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

5.3 მიღება-ჩაბარება მოხდება შემსყიდველის ოფისში, რუსთაველის ქ. №79.

6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო აგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

6.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 წინასწარ გადახდის წესი არ გამოიყენება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია;

6.4 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

6.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე, გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2შემსყიდველი უფლებამოსილია;

6.6 მიმწოდებლისგან მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტის, ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;

6.7 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.8 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება;

6.9 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია;

6.10 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;

6.11 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

6.12 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

6.13 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;

6.14 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

6.15 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია;

7.4.1. შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და დროულად შესრულება.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. შეტყობინება

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 ხელშეკრულების შერულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ზოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანმხდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0,02 %-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

13.2 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

13.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

14.1 ხელიშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

14.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

15.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

15.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

17.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

17.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის" მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი. ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

17.3 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

17.4 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელიშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

18 . დასკვნითი დებულებანი

18.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

18.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

18.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

18.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

18.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

18.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვარამდე.

18.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

19. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა.ა.ი.პ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი"	**შ.პ.ს „სტილ საქართველო-სამეგრელო"**
საიდენტიფიკაციო კოდი 420427078	საიდენტიფიკაციო კოდი: 412697363
მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №79	მისამართი: ქ. ზუგდიდი,რუსთაველის შეს.2 №5
საბანკო რეკვიზიტები: მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი"-
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ.ნომერი-სახაზინო კოდი: 101001000	ანგ. № GE13TB7159336060100001
ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი"-ს დირექტორი:	**შ.პ.ს „სტილ საქართველო-სამეგრელო"-ს** *დირექტორი:*
/დ.ფაცაცია/	*/კ.სანოძე/*

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №19

02-02-2023წ.

დანართი 1

N	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	პროფილური მილი 40/402	მეტრი	49	6,80	333,20
2	პროფილური მილი 60/120/2	მეტრი	3	19,60	58,80
3	გლინულა 5.5	მეტრი	30	0,90	27,00
4	კუთხოვანა 70/70/4	მეტრი	4	17,00	68,00
5	არმატურა 20	მეტრი	20	6,20	124,00
	ჯამი				**611,00**

„შემსყიდველი“

ა.ა.ი.პ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 420427078
მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №79
საბანკო რეკვიზიტები: მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ.ნომერი-სახაზინო კოდი: 101001000

ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს დირექტორი:

/დ.ფაცაცია/

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს „სტილ საქართველო-სამეგრელო“
საიდენტიფიკაციო კოდი: 412697363
მისამართი: ქ. ზუგდიდი,რუსთაველის შეს.2 №5
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი“-ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ. № GE13TB7159336060100001

შ.პ.ს „სტილ საქართველო-სამეგრელო“-ს *დირექტორი:*

/კ.სანოძე/

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ

ხელწერილი

ქ.ზუგდიდი 2 თებერვალი, 2023 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი"-ს (ს/კ:420427078) მიერ, მიმწოდებლისაგან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად რკინის მასალების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესყიდვის პროცედურაში მონაწილე მიმწოდებლის - შპს „სტილ საქართველო-სამეგრელო"(ს/კ:412697363) მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

1. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრის ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი: /ზაზა ზარანდია/
2. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრის ინსპექტირების ჯგუფის წევრი: /ხარიტონ მამფორია/
3. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრის ინსპექტირების ჯგუფის წევრი: /ანზორ ჩახაია/
4. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრის ინსპექტირების ჯგუფის წევრი: /თამაზი კაკაჩია/
5. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრის ინსპექტირების ჯგუფის წევრი: /ირაკლი ფიფია/